ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
შუახევის მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA
CITY HALL OF SHUAKHEVI MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **100-1002215018**
თარიღი: **30/05/2022**

ადრესატი: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო

და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის

თავმჯომარეს ქალბატონ მარინე გვიანიძეს

ქალბატონო მარინე,

თქვენი, მიმდინარე წლის 3 მაისის N 09-02-12-ფ/205 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ შუახევის მუნიციპალიტეტის მერია 2019 წლიდან ახორციელებს ადგილობრივი ბიუჯეტის მიზნობრივ პროგრამას ,,სოფლად მცხოვრები ქალების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების“ მიმართულებით, რითაც მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ქალებსა და ქალთა საინიციატივო ჯგუფებს ეძლევათ კარგი შესაძლებლობა მოახდინონ თავიანთი იდეების რეალიზება.

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი საწყის ეტაპზე შეადგენდა 9 000 ლარს (ერთი იდეის დაფინანსება შესაძლებელი იყო 3 000 ლარამდე). 2022 წლისთვის კი პროგრამის საერთო ბიუჯეტი გაიზარდა 15 000 ლარამდე (ერთი იდეის დაფინანსება 5 000 ლარს შეადგენს).

პროგრამის განხორციელების ეტაპებზე გამოიკვეთა სხვადასხვა საჭიროებები:

1. ერთი იდეების დასაფინანსებლად და სტარტაპის დასაწყებად ხშირ შემთხვევაში აღნიშნული დაფინანსება საკმარისი არ არის;

2. პროგრამის ბიუჯეტის სიმცირის გამო საუკეთესო ბიზნეს-იდები რჩებოდა დაფინანსების გარეშე;

3. მოსახლეობის ინფორმირებულობის მიზნით საჭირო დარჩა ფართომასშტაბიანი საინფორმაციო კამპანიის უზრუნველყოფა (ბროშურების დაბეჭვდა, მუნიციპალიტეტის სოფლებში გასვლითი შეხვედრები, ვიდერგოლის დამზადება და განთავსება, როგორც სხვადასხვა სოციალურ ქსელებში, ასევე აჭარის რეგიონის სატელევიზიო ეთერების სარეკლამო ჭრილში).

შუახევის მუნიციპალიტეტის მწირი ბიუჯეტიდან გამომდინარე ვერ ხერხდება ზემოთ აღნიშნული საკითხების სრულად უზრუნველყოფა, რისთვისაც საჭიროა

6300 დაბა შუახევი
თამარ მეფის ქ.№ 30
ტელ.: (0424)26 00 00
ელ.ფოსტა: SHUAKHEVIGG@GMAIL.COM

მუნიციპალიტეტისთვის თანხის მოძიებაში დახმარების გაწევა.

გამომდინარე აქედან, გვესაჭიროება თქვენი შუამდგომლობა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობასთან ფინანსების გამოყოფაში.

პატივისცემით,

ომარ ტაკიძე

შუახევის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

6300 დაბა შუახევი
თამარ მეფის ქ.№ 30
ტელ.: (0424)26 00 00
ელ.ფოსტა: SHUAKHEVIGG@GMAIL.COM